

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების
მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 7**

ქ. ლანჩხუთი

25.09. 2019 წელი
11.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე**.

კომისიის წევრები: ზაალ სანაძე, ზურაბ კუკულავა, ალექსანდრე მახათაძე, ოთარ პატიეშვილი, ზაზა წულაძე, კარლო კვიტაიშვილი, ირაკლი მარშანიშვილი.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი ნაჭყებია**, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსის **ალეკო კირვალიძე**.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **მაია კუპატაძე**, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ხათუნა ვადაჭკორია.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის № 18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

4. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ სასურველი იყო გაცილებით ადრე დაწყებულიყო ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვა, რადგანაც კერძო პირებს უკვე აშენებული აქვთ სახლები და შემოღობილი აქვთ ტერიტორიები.

აღნიშნული პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსმა **ალეკო კირვალიძემ**. მან განმარტა, რომ გრიგოლეთსა და ყვავილნარს არ გააჩნია კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის დოკუმენტაცია. კურორტის განვითარება ხდება არაგეგმიურად და უსისტემოდ, რაც ზღუდავს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას. დაგეგმვის მიზანია სანიტარული დაცვის ზონებისა და შესაბამისი რეჟიმების დადგენა და მის საფუძველზე მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული, არსებული გამოწვევების შესაბამისი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება შემდეგი საკითხები: გეგმარებითი ერთეულის კვლევა, გეგმარებითი ერთეულის განსაზღვრა, განვითარების სტრატეგია, გეგმის კონცეფციის შემადგენლობა, მათი შემუშავების გეგმა-გრაფიკი, საჭიროების შემთხვევაში გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში და სხვა დოკუმენტაციის მომზადება. შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილება გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე უნდა შეთანხმდეს საკრებულოსთან.

ზაზა წულაძემ განაცხადა, რომ საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ მიწის ნაკვეთები ათვისებულია, მოქალაქეებს და ადგილობრივ მოსახლეობას ეზღუდებათ სანაპირო ზოლზე მოხვედრა.

ალექსანდრე მახათაძემ განაცხადა, რომ ნებისმიერი მოქალაქისთვის სანაპირო ზოლზე გადაადგილება შეუზღუდავი უნდა იყოს. სავარაუდოდ აღნიშნული პროექტის განხორციელება საკმაოდ რთულ პროცესებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ აუცილებლად უნდა დაიწყოს და მოექცეს რეგულაციის ჩარჩოებში.

ალეკო კირვალიძემ აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელების ვადა გაწერილი იქნება დეტალურად, ხოლო ფინანსური მხარდაჭერა - ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ იქნება.

კომისიის წევრების მიერ სხვა სახის შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

განკარგულების პროექტი შენიშვნების გარეშე გადაეცეს საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბერის სხდომას განსახილველად.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსმა **ალეკო კირვალიძემ**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა მოქალაქე **მალხაზ ქამადაძემ**, რომელიც აღნიშნავს, რომ თანასაკუთრებაში გააჩნია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსაში მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.15.46.111 ფართობი 5206 კვ.მ.) აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილი აქვს სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა და

ტერიტორიის ამ მიმართულებით განვითარების მიზნით დაინტერესებული პირი შემოდის ინიციატივით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 43-ე მუხლის თანახმად თუ ტერიტორიისთვის გენერალური გეგმა არ არსებობს განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილება უნდა შეთანხმდეს იმავე მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.15.46.111; 5203 კვ.მ.) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე.

ალეკო კირვალიძემ წარმოადგინა დეტალურად გაწერილი პროექტი.

კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ მისასალმებელია, თუ მოქალაქეები აითვისებენ ტერიტორიებს და ჩადებენ ინვესტიციას.

კომისიის წევრების მიერ სხვა სახის შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

განკარგულების პროექტი, შენიშვნების გარეშე, გადაეცეს საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბერის სხდომას განსახილველად.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებამ**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო“-ს შეაფასებინა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, ავტომანქანა („OPEL VECTRA 2.0“ ჰეტჩბეკი, სახელმწიფო ნომრით LEL-272, საიდენტიფიკაციო ნომრით VVOL000087K5147214, გამოშვების წელი 1989), რომლიც განკარგვის მიზნით, მიზანშეწონილია მისი შეტანა მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზებო ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს წარუდგენს დასამტკიცებლად მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმას.

კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე** დაინტერესდა, ამ ეტაპზე გატანილია თუ არა აუქციონზე გასაყიდად მუნიციპალური ქონება.

გიორგი ნაჭყეზიამ განაცხადა, რომ ახლახანს გაიყიდა სამი ნაკვეთი, მისმა ღირებულებამ ჯამში 50 000 ლარი შეადგინა, ასევე ორ ნაკვეთზე გამოცხადდა აუქციონი, მფლობელები უახლოეს დღეებში გასდება ცნობილი.

კომისიის წევრები ასევე დაინტერესდნენ, ქალაქის ცენტრში მდებარე ე.წ. „ყოფილი რესტორნის“ მფლობელის სასამართლო პროცესის დასრულების შესახებ.

გიორგი ნაჭყეზიამ განმარტა, რომ სასამართლო პროცესი დასრულდა, ოღონდ მიწის ნაკვეთი ეკონომიკის სამინისტროს მიაკუთვნეს, ხოლო შენობა კერძო პირს. ასევე აღნიშნა, რომ პროცესში რჩება აღნიშნული შენობის დემონტაჟი.

კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული შენობა აღმოჩნდება ქალაქის იერსახეს, ასევე ავარიულია და საფრთხეს უქმნის მოქალაქეებს.

სამსახურის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ რამდენიმე საპრივატიზაციო ობიექტს დააკლდა 30% და თავიდან გამოცხადდება აუქციონი.

კომისიის წევრების მიერ სხვა სახის შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის სხდომას განსახილველად.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

4. სხვადასხვა.

კომისიის წევრმა ზაზა წულაძემ განაცხადა, რომ წიგოეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შედის ჩოლოზარგისა და ქვიანის სარკინიგზო სადგურები. როგორც გამოირკვა ეს სადგურები რკინიგზის დეპარტამენტმა გადმოსცა ლანჩუთის მუნიციპალიტეტს და მისი შეკეთების პრობლემა მოიხსნა. ორივე შენობა ავარიულია, აუვლებელია ფინანსების მოძიება, რათა მოქსერსდეს აღნიშნული სადგურები.

ამით კომისიის სხდომაზე მუშაობა დაასრულა.

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



გიორგი ნაჭყეზი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №7**

**25.09.2019 წელი
11.00 საათი**

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 25 სექტემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის № 18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე მიღებულ იქნას შენიშვნების გარეშე.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე მიღებულ იქნას შენიშვნების გარეშე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე მიღებულ იქნას შენიშვნების გარეშე.

მომხრე მ. წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ჩუსხისა და ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის № 18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ მიღებულ იქნას შენიშვნების გარეშე.

მომხრე მ. წინააღმდეგი არცერთი.



საკრებულოს ეკონომიკის, ქონების
მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარე :



გიორგი ჩახვაძე

ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო
ფურცელი

25.09.2019 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	10 ³⁰	
2	ზაზა წულაძე	11 ⁰⁰	
3	გარლო კეიტაიშვილი	10 ⁵⁵	
4	ალექსანდრე მახათაძე	10 ⁵⁶	
5	ზაალ სანაძე	10 ⁵⁰	
6	ოთარ პატიეშვილი	10 : 59	
7	ზურაბ კულუღაძე	10 ⁵⁵	
8	ირაკლი მარშანიშვილი	10 ⁵⁵	